ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1745144

ნომერი: AR1286939

თარიღი : 16.02.2015

გაცემის თარიღი : 20.02.2015

გაცნობის თარიღი : 21.02.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მარშალ გელოვანი , N 36 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ გვარამია პ/ნ 62007000958
- სოხუმი ს. გუმისთა

ორგანიზაცია:

- შპს ისნის სავაჭრო ცენტრი კოდი: 406028748

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ, რომ ობიექტი მდებარეობს ქალაქგეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მასზე განთავსებული კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს. აქედან გამომდინარე მსგავსი სახით სარეკლამო აბრების მოწყობა სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. შესაძლებელია სარეკლამო აბრის განთავსება მხოლოდ კონსოლურად გადმოწეულ ნაწილზე გვერდითა ფასადზე განთავსების გარეშე.

საკითხის განსახილველად საჭიროა გაითვალისწინოთ და წარმოადგინოთ შემდეგი:

- ვინაიდან საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად შეიცვალა ფართის ერთ-ერთი მესაკუთრე და ამჟამად ახალ მესაკუთრეს წარმოადგენს შპს "ოთარ ბგერვაძე და კომპანი", საჭიროა წარმოადგინოთ შპს "ოთარ ბრეგვაძე და კომპანია"-ს მიერ გაცემული თანხმობა სარეკლამო აბრების განტავსების თაობაზე.

- წარმოსადგენია ახალი ფოტომონტაჟი ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დეტალურად გაბარიტული ზომების და მასალის მითითებით გამოტანილი ხაზის მეშვეობით. ასევე უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი: უცხო ენაზე შესრულებული წარწერა, ყველა შემთხვევაში რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლირირებული) ფორმას, ხოლო ორენოვანი მანათობელი წარწერის შემთხვევაში, ორივე ენაზე შესრულებული (ქართული და უცხოური) წარწერები ერთნაირად უნდა იყოს განათებული.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.